



## გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები: დემოკრატიული მმართველობის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი/შეჯამება

**შეხვედრის თარიღი:** ხუთშაბათი, 25/07/2018, 10:00

**შეხვედრის ადგილი:** სასტუმრო „ბილტმორ თბილისი“

**შეხვედრის თემა:** გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება (პროცესი 2015 წლიდან დღემდე); მე-5 და მე-16 მიზნების განხორციელების პროგრესი

**შეხვედრის მონაწილეები:** დანართი 1

გამომსვლელები	პრეზენტაციები	პოზიცია
ნინო სარიშვილი	გახსნითი სიტყვა, სამუშაო შეხვედრის შესავალი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
თამარ იაკობიძე	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში	საჯარო პოლიტიკისა და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI
ანა კვერნაძე	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება (პროცესი 2015 წლიდან დღემდე)	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
გიორგი სახოკია	დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა - ინდიკატორები 16.1.1; 16.1.2; 16.2.1; 16.2.3; 16.3.1; 16.4.1; 16.4.2; 16.4.2; 16.10.1	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი
ქეთევან სარაჯიშვილი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკა - ინდიკატორი 16.2.2	იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი
ზურაბ სანიკიძე	ანტიკორუფციული პოლიტიკა - ამოცანა 16.5; ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) და ინფორმაციის თავისუფლება - ამოცანა 16.10	იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
სესილი ვერძაძე	სახელმწიფო სერვისების მიწოდება - ინდიკატორი 16.6.2	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაციების მართვის და კვლევების სამსახურის უფროსი
ეკა ქარდავა	საჯარო სამსახურის რეფორმა - ინდიკატორები 16.6.1; 16.7	საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი
სოფო ჯაფარიძე	გენდერული პოლიტიკა	პრემიერის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში

## განხილული საკითხები დღის წესრიგის მიხედვით:

**10:25 - გახსნითი სიტყვა**

**ნინო სარიშვილი, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა გახსნითი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და შეახსენა მათ, რომ მოცემული შეხვედრა იყო რიგით ბოლო სამუშაო ჯგუფებს შორის. მან ასევე აღნიშნა, რომ დემოკრატიული განვითარების სამუშაო ჯგუფში თანათავმჯდომარეთა არჩევის მიზნით მის წევრებს ერთ კვირის ვადაში გაეგზავნებოდათ ხმის მიცემის კითხვარი ელ. ფოსტის საშუალებით. ნინო სარიშვილმა მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობისკენ და განმარტა, რომ თანათავმჯდომარეები აირჩეოდნენ სექტორულად სახელმწიფო უწყებათა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ. პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა მოკლედ ისაუბრა შეხვედრის მიზნებზე - მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროგრესის განხილვა 2015 წლიდან დღემდე მე-5 და მე-16 მიზნების ჭრილში და მდგრადი განვითარების მიზნების დაკავშირება არსებულ სტრატეგიებსა და სამოქმედო დოკუმენტებთან. მან ხაზი გაუსვა, რომ 2015 წლიდან დღემდე შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი, თუმცა ჯერ კიდევ მრავალი მიმართულება საჭიროებს დახვეწას.

**10:30 – გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში**

**თამარ იაკობიძე - საჯარო პოლიტიკისა და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI**

თამარ იაკობიძემ თავდაპირველად ხაზი გაუსვა, რომ მატრიცა არის მრავლისმომცველი და აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის ყველა მიმართულებას, შესაბამისად გამოწვევას წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა გზით უნდა მომხდარიყო მისი დაკავშირება არსებულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან. შერჩეულ იქნა დაკავშირების ჰორიზონტალური ინტეგრაციის მოდელი, რომელიც გულისხმობს არსებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების (150-მდე დოკუმენტი) დაკავშირებას 17 გლობალური მიზნის ქვეშ გაერთიანებულ 98 ნაციონალიზებულ ამოცანასთან. თამარ იაკობიძის განმარტებით, მოცემული პროცესის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მატრიცა მუდმივად განიცდის ცვლილებებს. მან დამსწრე საზოგადოება მოახსენა მონიტორინგისა და შეფასების (M&E) და საჯარო პოლიტიკის ექსპერტთა მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ჩატარებული შეხვედრების შესახებ და დასძინა, რომ საბოლოო ჯამში არჩეული რთული გზა მოგვცემს უკეთეს, პროგრესზე ორიენტირებულ შედეგს.

IDFI -ის წარმომადგენელმა დეტალურად განიხილა მდგრადი განვითარების მე-5 და მე-16 მიზნებთან არსებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების დაკავშირების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგები: მე-5 მიზნის არსებულ სტრატეგიებსა და

სამოქმედო გეგმებთან სრულად დაკავშირებულია 3 ამოცანა, ნაწილობრივ - 14 ხოლო დაკავშირებული არ არის 10 ამოცანა. 16 მიზნის ქვეშ კი სახეზეა 33 სრულიად დაკავშირებული და 5 ნაწილობრივ დაკავშირებული ამოცანა. კავშირი ვერ დადგინდა 33 ამოცანის შემთხვევაში. თამარ იაკობიძემ მიუთითა, რომ ხშირ შემთხვევაში კავშირის არ არსებობის მიზეზს შესაძლებელია წარმოადგენდეს ის, რომ ამოცანის ფორმულირება არის უფრო დეტალური ვიდრე იმავე საკითხზე სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში მოცემული მიმართულებები.

### **10:35 – გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება (პროცესი 2015 წლიდან დღემდე)**

**ანა კვერნაძე - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა თავდაპირველად განიხილა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განვითარების პრეისტორია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შესაბამისი რეზოლუცია, რომლითაც დამტკიცდა მდგრადი განვითარების მიზნები მიიღო 2015 წელს. საქართველო მოცემულ რეზოლუციას შეუერთდა 2016 წელს და შესაბამისად დაიწყო მუშაობა მიზნების ნაციონალიზაციის პროცესზე. ანა კვერნაძემ განმარტა თუ რა საქმიანობა მიმდინარეობს ამ მიმართულებით დღეის მდგომარეობით. საქართველოს ნაციონალიზაციისთვის შერჩეული აქვს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანი, რომელიც აერთიანებს 93 ამოცანას, 153 ინდიკატორს და 5 დამატებით ამოცანას. 2018 წელს ნაციონალიზაციის პროცესის გადახედვის საჭიროება გამოიწვია მატრიცის გაუმჯობესების საჭიროებამ, კერძოდ აუცილებელი იყო ნაციონალიზებული ამოცანების გლობალურთან შედარებითობის უზრუნველყოფა, ინდიკატორების უკეთ დაკავშირება ამოცანებთან, მოსალოდნელი შედეგების უკეთ ასახვა სამიზნე ინდიკატორებში და არანაციონალიზებულ ამოცანათა ნაციონალიზება. ჩამოთვლილი მიმართულებებით მუშაობისა და მატრიცის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ტექნიკური და გაერთიანებული სამუშაო ჯგუფები, სადაც გაწევრიანებულია 90-ზე მეტი პირი (40 წევრი დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფში). მატრიცის გაუმჯობესების მიზნით პროექტის ექსპერტმა შეხვედრები ჩაატარა 21 უწყებასთან (8 უწყებასთან მოცემული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში). მოცემული დროისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ 26 ინდიკატორის შემთხვევაში არ არსებობს სტატისტიკის მიღების მეთოდოლოგია და შესაბამისად აუცილებელია რესურსების მობილიზაცია. ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ 2015 წლიდან მოხდა 56 ინდიკატორის მისადაგება გლობალურ ინდიკატორთან (11 ინდიკატორი მე-5 და მე-16 მიზნების ქვეშ) და გაუმჯობესდა 41 დამატებითი ეროვნული ინდიკატორი (10 ინდიკატორი მე-5 და მე-16 მიზნების ქვეშ). ანა კვერნაძემ ისაუბრა ასევე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე გლობალური (მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი) და ეროვნული მასშტაბებით (ეროვნული ანგარიში). მან ჯგუფის წევრებს გააცნო მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის მონიტორინგის მიზნით შექმნილი სპეციალური ინოვაციური ვებ-გვერდი, მისი შიდა და გარე მხარეები. ანა კვერნაძემ განმარტა, რომ მონიტორინგის მოცემული სისტემა წარმოადგენს საცდელ ვერსიას და

მოცემული დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე.

**10:50 – დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა - ინდიკატორები 16.1.1; 16.1.2; 16.2.1; 16.2.3; 16.3.1; 16.4.1; 16.4.2; 16.4.2; 16.10.1.**

**გიორგი სახოკია - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი**

გიორგი სახოკიამ ისაუბრა მე-16 მიზნის ქვეშ გაერთიანებულ 5 ამოცანაზე, მათ ინდიკატორებსა და შესრულების მგომარეობაზე. თავდაპირველად ის შეხო ამოცანა 16.1-ს - ძალადობის ყველა ფორმის და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება ყველგან. გამომსვლელმა მიმოიხილა ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნულ ამოცანას და განიხილა განზრახ მკვლელობისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის სტატისტიკური მონაცემები 2015 და 2017 წლებში. მან ასევე ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებს სამინისტრო მოცემული მიმართულებებით: საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა (მართლწესრიგის ოფიცრები), ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, ოპერატიულ-საგამომიებო ფუნქციათა გაძლიერება და ერთმანეთისგან გამიჯვნა, ოჯახური ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის გამოძიების მონიტორინგი.

შემდგომ გიორგი სახოკიამ ისაუბრა 16.2 ამოცანაზე, რომელიც გულისმობს ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ძალადობის ყველა ფორმის და წამების აღმოფხვრას. მოცემული მიმართულებით დაგეგმილი ქმედებები გაწერილია სამ სამოქმედო გეგმაში. ამასთან წარმოდგენილ იქნა მონაცემები, სსკ-ის 117, 118, 126, 137, 140, 141 მუხლებით დაწყებულ გამოძიების შემთხვევათა რაოდენობათა შესახებ 2015 და 2017 წლებში. გამომსვლელმა მიმოიხილა დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესება, კადრების გადამზადება და სპეციალიზებული საგამომიებო დანაყოფის შექმნა, და მიუსაფარ და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით კონცეფციის მომზადება.

სამინისტროს წარმომადგენელმა განიხილა მიზანი 16.3 - ეროვნულ დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. მან ჩამოთვალა ის სტრატეგიული დოკუმენტები რომლებიც მოიცავს აღნიშნულ მიმართულებას და მიმოიხილა სსკ-ის 126-ე და 126<sup>1</sup> მუხლების სტატისტიკები 2015 და 2017 წლებში. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მოცემული მუხლებით გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართვიანობის გაზრდილ მაჩვენებელს გამოძიების სისტემისადმი მაღალი ნდობა განაპირობებდა. დაგეგმილ ქმედებებს შორის ნახსენები იქნა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარება (მართლწესრიგის ოფიცრები), 112-ის მომსახურების გაუმჯობესება და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდებისა და სხვა ახალგაზრდების ინკლუზიური და თანაბარი მონაწილეობა.

მიზანი 16.4 გულისხმობს ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმის შემცირებას 2030 წლისათვის. გიორგი სახოკიამ განმარტა, რომ მოცემული მიმართულებით ღონისძიებების გატარება დაგეგმილია ორი სტრატეგიული დოკუმენტით - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიითა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით. ჩამორთმეული ცეცხლსასროლი იარაღის სტატისტიკათა შედარებამ 2015 და 2017 წლებში აჩვენა მოცემული მიმართულებით 14.3%-იანი ვარდნა ბოლო პერიოდში. რაც შეეხება დაგეგმილ ღონისძიებებს, გამომსვლელის თანახმად გარდა ზემოხსენებული ქმედებებისა მოცემული მიმართულებით დაგეგმილია ასევე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ყველა სახის ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით, კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბოლო, 16.10 მიზანთან დაკავშირებით, გიორგი სახოკიამ ისაუბრა ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის საკითხზე და გააცნო დამსწრე საზოგადოებას სსკ-ის 154-ე მუხლის სტატისტიკა 2015 და 2017 წლებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემული მიმართულებით დაგეგმილია სპეციალური ღონისძიებების გატარება ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით. გიორგი სახოკიამ აღნიშნა, რომ მოცემული ინდიკატორი შესაძლებელია იქნეს შეცვლილი, რადგან ხშირ შემთხვევაში რთულია მედიის წარმომადგენელთა იდენტიფიცირება.

#### **11:10 - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკა - ინდიკატორი 16.2.2**

##### **ქეთევან სარაჯიშვილი - იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი**

ქეთევან სარაჯიშვილმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა 16.2.2 ინდიკატორის შესრულების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ. მოცემული ინდიკატორი გულისხმობს ყველა სახის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასა და მის აღმოფხვრას. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა, რომ მოცემული მიმართულებით საქართველოში ინდიკატორის შესრულება არის უფრო შორს წასული ვიდრე ეს გლობალური მეთოდოლოგიით არის მოთხოვნილი, რადგან საქართველო აწარმოებს ტრეფიკინგის დეტალურ სტატისტიკას. ქეთევან სარაჯიშვილმა ისაუბრა იმ აქტივობებზე, რომლებსაც ახორციელებს სამინისტრო. კერძოდ, შექმნილია უწყებათშორისო საბჭო, რომლიც 2 წელიწადში ერთხელ შეუძუშავებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმას. ბოლო სამოქმედო გეგმა მოიცავს 2017-2018 წლებს და ფარავს ოთხ ძირითად მიმართულებას: პრევენცია, პროაქტიული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა/დახმარება და თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ცხადდება სპეციალური საგრანტო კონკურსები, რომელთა ფარგლებშიც გაცემულ იქნა 6 გრანტი.

ქეთევან სარაჯიშვილმა, აღნიშნა, რომ ტრეფიკინგის მაღალ რისკ-ჯგუფს ქუჩაში მცხოვრები ბავშვები წარმოადგენენ. ამ მიმართულებით შსს-თან ერთად მუშავდება ცალკე პოლიტიკის დოკუმენტი. გამომსვლელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ტრეფიკინგის დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები 2015 და 2017 წლებისთვის და ისაუბრა ერთიან სეგრეგირებულ მონაცემებზე. გამოსვლის ბოლოს ქეთევან სარაჯიშვილმა ისაუბრა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა შეფასებებზე (აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, GRETA, OSCE/ODIHR, VLAP).

**11:30 - ანტიკორუფციული პოლიტიკა - ამოცანა 16.5; ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) და ინფორმაციის თავისუფლება - ამოცანა 16.10**

**ზურაბ სანიკიძე - იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი**

თავდაპირველად ზურაბ სანიკიძემ ისაუბრა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ და საქართველოს 2016-2017, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა დაფუძნებულია თანამშრომლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე და დამსწრე საზოგადოებას შეახსენა რომ მიმდინარე წელს საქართველო წარმოადგენს OGP საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანას. მან ასევე ისაუბრა ღია მმართველობის ფორუმსა და მისი თავმჯდომარეობის ფორმატზე. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა IDFI-ის აქტიურ როლს მოცემულ პროცესში და ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას. 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მოცემული დროისთვის არის შემუშავების ეტაპზე. მისი გეგმა დამტკიცებულ იქნა საქართველოს მიერ 17-19 ივლისის ღია მმართველობის გლობალურ სამიტამდე. სამოქმედო გეგმის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ მოხდება მას შემდეგ რაც დასრულდება გეგმის ბიუჯეტის შემუშავება.

ზურაბ სანიკიძემ შემდგომ საკითხად განიხილა ანტიკორუფციული პოლიტიკა მოცემული ინიციატივის ფარგლებში შექმნილი ანტიკორუფციული საბჭო და მისი ფუნქციები. საბჭოში გაწევრიანებულია 55 წარმომადგენელი სხვადასხვა სექტორიდან. საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ანტიკორუფციული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცება. მისი შექმნის დღიდან საბჭომ დაამტკიცა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმები 2005, 2010-2013, 2015-2016 და 2017-2018 წლებისთვის. გამომსვლელმა ისაუბრა მოცემული მიმართულებით ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებულ თანამშრომლობაზე როგორებიც არიან UNODC, OECD, EU, CoE, GRECO, ACN.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი შეეხო ასევე ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მიღების საკითხს. მან აღნიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს მოცემულ საკითხზე, მიმდინარეობს კონსულტაციები, თუმცა საკითხი არის კომპლექსური და შესაბამისად დროში გაიწელა კანონის სამუშაო ვერსიის საბოლოო სახის შემუშავება. ზურაბ სანიკიძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ახალი კანონი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ის გაითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების ეფექტური საზედამხედველო მექანიზმების

შექმნის საკითხს. იუსტიციის სამინისტრო საქართველოს მთავრობას აღნიშნულ კანონპროექტს საშემოდგომო პლენარულ სესიაზე წარუდგენს.

#### **11:40 - სახელმწიფო სერვისების მიწოდება - ინდიკატორი 16.6.2**

**სესილი ვერაძემ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინოვაციების მართვის და კვლევების სამსახურის უფროსი**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა საკუთარ გამოსვლაში ისაუბრა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორ 16.6.2-ზე, რომელიც სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდებისა და განვითარების საკითხს ფარავს. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ინდიკატორის თანახმად 2020 წლისთვის საქართველოს დამტკიცებული უნდა ქონდეს სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ფასწარმოქმნის და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკა და სტანდარტები და უნდა მიმდინარეობდეს მათი საყოველთაო დანერგვა. ამასთან 2030 წლისთვის სერვისების 95% დაფუძნებული უნდა იყოს შექმნის, მიწოდებისა და ფასწარმოქმნის ერთიან სტანდარტებზე.

მოცემული მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით სესილი ვერაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2017 წელს მიღებული დოკუმენტი სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების პოლიტიკის კონცეფციის შესახებ, რომელიც ეფუძნება 19 პრინციპს, მათ შორის ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოქნილობა და დინამიურობა. მან აღნიშნა, რომ სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ფასწარმოქმნის არსებული პრაქტიკის შესასწავლად ჩატარებულმა კვლევამ გამოვლინდა მოწინავე უწყებები, საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები. შემუშავდა სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ფასწარმოქმნის ერთიანი პოლიტიკის სამუშაო (ინგლისურენოვანი) ვერსია, რომელიც მოცემული ეტაპისთვის შეთანხმებულია სერვისების შექმნისა და მიწოდების სამუშაო ჯგუფთან.

სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით სესილი ვერაძემ აღნიშნა, რომ იგეგმება უკვე შემუშავებული სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების ერთიანი პოლიტიკის ქართული თარგმანის მომზადება და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება 2018 წელს. 2019-2020 წლებში პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდება პროცედურების დოკუმენტები, ტრენინგების მოდულები და გადამზადდებიან შესაბამისი საჯარო მოხელეები.

#### **11:45 - საჯარო სამსახურის რეფორმა - ინდიკატორები 16.6.1; 16.7**

**ეკა ქარდავა - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი**

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის გამოსვლა შეეხო მდგრადი განვითარების მიზნების 16.6.1 და 16.7 ამოცანებს, რომელებიც გულისხმობენ ეფექტიანი, ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნას ყველა დონეზე და სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებულ და წარმომადგენლობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფას.

ეკა ქარდავამ ისაუბრა საჯარო სამსახურის რეფორმირების მიმართულებით გატარებულ ეროვნულ პოლიტიკასა და განხორციელებულ ქმედებებზე. კერძოდ საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებისა და შესაბამისი საკანონდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების შედეგად მიღწეულ პროგრესზე, შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებასა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვაზე. მან აღნიშნა, რომ შესაბამისი საჯარო მოხელეებისათვის ტარდება ტრენინგები მათი პროფესიონალიზმისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით.

გამომსვლელმა ისაუბრა გენდერულ ბალანსზე საჯარო სამსახურში და წარმოადგინა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. მან ასევე გენდერულ ჭრილში ისაუბრა ანაზღაურების საკითხზე საჯარო სამსახურში.

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ეკა ქარდავამ აღნიშნა, რომ იგეგმება გენდერზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში შესაბამისი ფუნქციების ცხადად მითითება, რათა კონკრეტულ პირს/პირებს ქონდეთ ვალდებულება სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე იმუშაონ მოცემული მიმართულებით.

## **11:50 - გენდერული პოლიტიკა**

### **სოფო ჯაფარიძე - პრემიერის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში**

სოფო ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სახელმწიფოში არსებული გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ისაუბრა მიღწეულ პროგრესზე 2017 წლის მდგომარეობით, თუმცა ისინი არ განიხილა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ჭრილში იქიდან გამომდინარე, რომ წინა წლების სამოქმედო გეგმები არ იყო მორგებული მდგრადი განვითარების მიზნებზე. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ 2017 წელს შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე სპეცილური უწყებათშორისი საბჭო, საქართველომ მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, აუცილებელი ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში, ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, შეიქმნა და განვითარდა კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები, ეროვნული ცხელი ხაზი ხელმისაწვდომი გახდა 7 ენაზე.

ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერის თანაშემწემ ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. 2018-2020 წლებისთვის დამტკიცებულია სამი სამოქმედო გეგმა გენდერის მიმართულებით. აღნიშნული სამოქმედო გეგმები ფარავს მდგრადი განვითარების მიზნებს, თუმცა მოიცავს ბევრად მეტ აქტივობას სხვადასხვა მიმართულებით.

## **11:00 - კითხვა-პასუხი/დისკუსია**



დისკუსია გახსნა გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა - ნინო კაკუბავამ, რომელმაც გამომსვლელებს მიმართა რამდენიმე შეკითხვით. პირველი შეკითხვა შეეხებოდა სტრატეგიული დოკუმენტების დაკავშირებას მატრიცასთან. კერძოდ, შეკითხვის ავტორს სურდა გაეგო კონკრეტულად რა სახის დოკუმენტები იქნა გამოყენებული მოცემულ პროცესში. მეორე შეკითხვა შეეხებოდა მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის მიზნით შექმნილ ვებ-გვერდს, კერძოდ იმას თუ რამდენად იძლეოდა ის სამოქალაქო საზოგადოებისგან კომენტარების დატოვების საშუალებას. ნინო კაკუბავამ მიმართა ასევე შსს-ს წარმომადგენელს და იკითხა, თუ რატომ არ იყო მის პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილებული ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხზე. პირველ შეკითხვაზე პასუხად, თამარ იაკობიძემ (IDFI) აღნიშნა, რომ კავშირების დადგენისას გამოყენებულ იყო როგორც სტრატეგიები, ისე სამოქმედო გეგმები. ანა კვერნაძემ განმარტება გააკეთა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის მონიტორინგის ვებგვერდზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კომენტარების დატოვების შესაძლებლობაზე და აღნიშნა, რომ მართალია სისტემა არ ითვალისწინებს მსგავს საკითხს, თუმცა ვებგვერდზე ასახული ინფორმაცია იქნება შეთანხმებული საბჭოს ქვეშ შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან დაინტერესებული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხთან დაკავშირებით გიორგი სახოკიამ შეკითხვის ავტორს განუმარტა, რომ მისი გამოსვლა მოიცავდა ინფორმაციას ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხზე, თუმცა ის წარმოდგენილი იყო 16-ე და არა 5 მიზნის ჭრილში.

შემდეგი შეკითხვა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელს - ნიკოლოზ ჭინკორაშვილს ეკუთვნოდა. შეკითხვა შეეხებოდა 16.3.2 ამოცანას, კერძოდ იყო თუ არა ის საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და რას გულისხმობდა პატიმრობის წილის 20%-იანი მაჩვენებელი. ამა კვერნაძემ შეკითხვის ავტორს განუმარტა, რომ მოცემული ფორმულირება წარმოადგენდა ექსპერტის შეთავაზებას და აუცილებელი იყო მისი შეთანხმება პასუხისმგებელ უწყებასთან. რაც შეეხება 20%-იან სამიზნე ინდიკატორს, მთავრობის ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნული მაჩვენებელი აღებული იყო წინა წლებში განვილი პროგრესის გათვალისწინებით. ნიკოლოზ ჭინკორაშვილმა წარმოადგინა ასევე რეკომენდაციები მე-16 მიზნის ქვეშ გაერთიანებულ ამოცანებსა და ინდიკატორებში ტერმინოლოგიური ცვლილების შეტანის შესახებ.

16.5.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვა, თუ რატომ მოიცავდა ის მხოლოდ მექრთამეობას და არა კორუფციის სხვა სახეებსაც. წარმოდგენილ იქნა რეკომენდაცია მისი დეტალურად ჩაშლის შესახებ. ანა კვერნაძემ მიმართა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელს და იკითხა, მოეპოვებოდა თუ არა უწყებას დეტალური ინფორმაცია მოცემული მიმართულებით. პროკურატურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ინფორმაციის წარმოდგენა არა მერთო მექრთამეობის არამედ კორუფციის სხვა სახეების შესახებაც, თუმცა კითხვის ნიშანი დასვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო აუცილებელი მსგავსი დამატებითი ვალდებულების აღება. მოცემულ საკითხზე დისკუსიაში ჩაერთო საბა ბუაძე (IDFI), მან მხარი დაუჭირა საკითხის დეტალურად ჩაშლის მოსაზრებას. საკუთარი აზრი გამოთქვა ზურაბ სანიკიძემ და აღნიშნა, რომ კონკრეტულად მექრთამეობა

წარმოადგენს გლობალურად მნიშვნელოვან საკითხს და სწორედ ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასებას ისახავს მიზნად 16.5.1. ინდიკატორი.

IDFI-ის პროგრამების დირექტორმა ლევან ავალიშვილმა წარმოადგინა ინიციატივა 16.10.2 ინდიკატორის შეფასებისას გამოყენებული ყოფილიყო საერთაშორისო რეიტინგიები (RTI) და ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშები. ზურაბ სანიკიძემ მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო მასზე დეტალური მსჯელობა.

გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა მაკა მეშველიანმა აღნიშნა, რომ OGP-ის მიმართულებით შემდეგი სამიტის ჩატარება იგეგმება კანადაში, სადაც გენდერული საკითხები განსაკუთრებით პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. შესაბამისად მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო ღია მმართველობის მომდევნო სამოქმედო გეგმის გენდერულად მგრძობიარე სახით ჩამოყალიბება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იყო სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში გენდერზე მომუშავე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართვა. ზურაბ სანიკიძემ მოიწონა წარმოდგენილი იდეა, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი ინიციატივის გათვალისწინების მეტი შესაძლებლობა იქნებოდა მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე წარმოდგენის შემთხვევაში. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა მოიცავს არაერთ გენდერულ ასპექტს და დაამატა, რომ OGP-მ სწორედ საქართველოს ინიციატივით მიიღო და მხარი დაუჭირა რეზოლუციას გენდერული თანასწორობის საკითხზე. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართვასთან დაკავშირებით ნინო სარიშვილმა შეკითხვის ავტორს განუმარტა, რომ სამუშაო ჯგუფი მოიცავდა 19 არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის ორის საქმიანობა კი ფოკუსირებული იყო კონკრეტულად გენდერის საკითხებზე.

ირაკლი გიორბელიძემ (World Vision - საქართველო) ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ თემაზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით საყურადღებო იყო იმის ფონზე რომ გაუქმნდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მან გამოთქვა მთავრობასთან შეხვედრის ინიციატივა რათა უზრუნველყოფილიყო ახალგაზრდობის საკითხთა გათვალისწინება მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში. ნინო სარიშვილმა მზადყოფნა გამოთქვა შეხვედრაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელი იქნებოდა შეხვედრაში იმ უწყებათა ჩართვაც, რომლებიც კონკრეტულად მოცემული მიმართულებით ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია - თანხმობის წარმომადგენელი ხატია ქარდავა დაინტერესდა, თუ რომელ სამინისტროს დაევალებოდა იძულებით გადაადგილებულ ქალთა საკითხებზე მუშაობა სამინისტროს გაუქმების შემდეგ, რაზეც განემარტა, რომ იქმნებოდა შესაბამისი დეპარტამენტი ჯანდაცვის სამინისტროში.

IDFI-ის წარმომადგენელმა შეკითხვა დასვა 16.7.2. ინდიკატორის გაზომვის მეთოდთან დაკავშირებით და დაინტერესდა, თუ რამდენად იყო მზადყოფნა დონორების მხრიდან

მოცემულ პროცესში დახმარებისა. ანა კვერნამემ კითხვაზე პასუხად აღნიშნა, რომ მოცემულ ინდიკატორის შეფასების მეთოდოლოგია არ იყო შემუშავებული გლობალური მასშტაბით. მონაცემთა დათვლა და სტატისტიკის მიღება მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსს. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით რესურსის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში მთავრობის ადმინისტრაცია მზად არის ითანამშრომლოს დონორ ორგანიზაციებთან.

IDFI-ის პროექტების მენეჯერი ლევან ავალიშვილი შეეხო საკრებულოებსა და პარლამენტში გენდერული ბალანსის საკითხს, აღნიშნა, რომ ის არის ძალზედ კომპლექსური და ხაზი გაუსვა პროცესში თვითმმართველობის ჩართვის აუცილებლობას. მოცემულ საკითხზე საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს დამსწრე მხარეებმა. ხაზი გაესვა მენეჯერულ პოზიციებზე გენდერული ბალანსის მიღწევის სირთულეებს. გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა ნინო კაკუბავამ აღნიშნა, რომ ინდიკატორები ძირითადად ეფუძნება რაოდენობრივ შეფასებებს, რაც ბუნებრივია არის მნიშვნელოვანი, თუმცა ასევე აუცილებელი შეფასება ითვალისწინებდეს ხარისხობრივ კრიტერიუმებსაც.

### 13:00 - შეჯამება

შეხვედრა შეაჯამა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა - ნინო სარიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას მადლობა მოახსენა სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობისთვის და შეახსენა, რომ მათ ერთი კვირის განმავლობაში გაეგზავნებოდათ შეხვედრის შემაჯამებელი ინფორმაცია და მიეცემოდათ თანათავმჯდომარეთა არჩევის მიზნით საკუთარი ხმების დაფიქსირების საშუალება.

### 13:05 - შეხვედრის დასასრული

დანართი #1		
მონაწილეთა სია		
1. ნიკოლოზ ჭინკორაშვილი	მთავარი პროკურატურა	სამმართველოს უფროსი
2. მერი ჩაჩავა	საია	პროექტის ასისტენტი
3. სალომე ჯიშკარიანი	დემოკრატიის განვითარების სააგენტო	ადმასრულებელი დირექტორი
4. მაკა დარსაველიძე	დემოკრატიის განვითარების სააგენტო	პროექტების მენეჯერი

5. დავით მუშკუდიანი	Office of the UN Resident Coordinator	UN Coordination Officer
6. გიორგი ბადურაშვილი	UNHCR	Assistant Programme Officer
7. Yoko Akasaka	UNHCR	Deputy Regional Representative in the South Caucasus
8. მირანდა მერკვილაძე	UNHCR	Protection Associate
9. მარიამ ბრეგაძე	იუსტიციის სამინისტრო	საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი
10. ანა ივანიშვილი	იუსტიციის სამინისტრო	საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი
11. ლია ჩარეკიშვილი	საქსტატი	განყოფილების უფროსი
12. მაია წიგნაძე	BEC	პროგრამების კოორდინატორი
13. თამარ გვასალია	EMC	იურისტი
14. ხატია ქარდავა	ქალთა ასოციაცია თანხმობა	ადმასრულებელი ასისტენტი
15. ალა ბეჟანცევა	მრავალეროვანი საქართველოს ქალები	თავმჯდომარე
16. ჯაბა ბრეგაძე	მრავალეროვანი საქართველოს ქალები	იურისტი
17. ზაურ ხალილოვი	სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	ადმასრულებელი დირექტორი
18. ნატო ჯავახიშვილი	შსს ანალიტიკური დეპარტამენტი	დირექტორის მოადგილე
19. ირაკლი გიორბელიძე	World Vision საქართველო	ახალგაზრდული პროექტის კოორდინატორი
20. იდა ბახტურიძე	WECEF/საქართველო	საქართველოს ოფისის და გენდერის კოორდინატორი
21. მაკა მეშველიანი	UNDP	პროგრამის მენეჯერი
22. ნინო კაკუბავა	UNDP	პროგრამის მენეჯერი
23. ნათია მელაძე	UNDP	M&E სპეციალისტი
24. მარიამ ბანძელაძე	UNFPA	პროგრამის მენეჯერი
25. თათია როგავა	AOG	DCU

26. ეთერ ბურდული	PSDA	სპეციალისტი
27. მარიამ დანელია	AOG	მრჩეველი
28. ნათია წიქარაძე	AOG	
29. გოგა პაიჭაძე	AOG	ელ. მმართველობის დეპარტამენტი
30. ნანიკო წიკლაური	UNDP	PAR პროექტის მენეჯერი
31. გიგი ბრეგაძე	UNDP	დემოკრატიული მმართველობის გუნდის ხელმძღვანელი
32. ქეთევან სარაჯიშვილი	MOJ	საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი
33. ნინო სარიშვილი	AOG	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი
34. ანა კვერნაძე	AOG	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი
35. ლევან ავალიშვილი	IDFI	პროგრამების დირექტორი
36. სოფო ჯაფარიძე		პრემიერის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში
37. ზურაბ სანიკიძე	იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
38. ეკა ქარდავა	საჯარო სამსახურის ბიურო	ბიუროს უფროსი
39. ირინა აღაფიშვილი	საჯარო სამსახურის ბიურო	დეპარტამენტის უფროსი
40. სესილი ვერძაძე	PSDA	ინოვაციების სამსახურის უფროსი
41. ეკატერინე სირაძე	საჯარო სამსახურის ბიურო	მთავარი სპეციალისტი
42. თინათინ სხირტლაძე	PSDA	სამს. მოვალეობის შემსრულებელი
43. თორნიკე ნატროშვილი	MIA	Head of Unit
44. საბა ბუაძე	IDFI	ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი
45. თამარ იაკობიძე	IDFI	საჯარო პოლიტიკისა და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულების ხელმძღვანელი,
46. ნინო მერებაშვილი	IDFI	მთავარი იურისტი
47. მარიამ ჯაჯანიძე	AOG	უწყებათშორისი კომისიის მდივანი

